პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 213 (5243) 1974 წ. 27 ოქტომბერი, კვირა. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

# მსოფლიო მიესალმება

ნიუ-იორკი, 25 ოქტომბერი. ამერიკის პრესა მიესალმება საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილებას 1980 წლის საზაფხულო ოლიმპიური თამაშების მოსკოვში ჩატარების შესახებ.

გაზეთი „კრისჩენ საიენს მონიტორი" ამ გადაწყვეტილებას ლოგიკურს უწოდებს და სარედაქციო წერილში წერს: „თუ მხედველობაში მივიღებთ აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობაში დაძაბულობის განმუხტვას, დიდი ხანია დროა სოციალისტურ სახელმწიფოს თამაშების მასპინძლის როლში გამოსვლის უფლება მიეცეს".

„კრისჩენ საიენს მონიტორი" წერს, რომ 1952 წლიდან როცა სსრ კავშირი პირველად ჩაება ოლიმპიურ თამაშებში, ეს ქვეყანა „სულ უფრო ფართოდ მონაწილეობდა ოლიმპიადებში და სპორტის სხვადასხვა სახეობაში თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია".

„ნიუიორკ ტაიმსი" ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „სოციალისტურ ქვეყანას პირველად მიენიჭა ოლიმპიადის ორგანიზაციის უფლება".

ვენა, 25 ოქტომბერი. „1980 წლის საზაფხულო ოლიმპიური თამაშების ჩატარება მოსკოვში, მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დედაქალაქში, ახალი ფურცელი იქნება ოლიმპიურ ისტორიაში", — წერს გაზეთი „ფოლკსშტიმე" და განაგრძობს: „სოკ-ის სესიის მიერ მოსკოვის ოლიმპიადის დედაქალაქად არჩევა კიდევ ერთხელ ადასტურებს საბჭოთა კავშირის დიდ როლს, ამავე დროს, მსოფლიო სპორტში სოციალისტური თანამეგობრობის მნიშვნელობას".

„ყველა, ვისაც წილად ხვდა ბედნიერება ენახა მოსკოვში ახალგაზრდობისა და სტუდენტთა ფესტივალი, უნივერსიადა, სხვა დიდი სპორტული შეჯიბრებები, ღრმად დარწმუნებულია, რომ სოციალისტურ ქვეყანაში პირველი ოლიმპიადა ჩატარდება ოლიმპიური პრინციპებიდან გამომდინარე ყველა პირობის დაცვით", — ხაზგასმით აღნიშნავს „ფოლკსშტიმე".

ბერლინი, 25 ოქტომბერი. გდრ-ის საზოგადოებრიობა დიდი მოწონებით შეხვდა სოკ-ის გადაწყვეტილებას. აი, რას წერს ამის შესახებ გდრ-ის სპორტის მესვეურები და ცნობილი სპორტსმენები.

გდრ-ის მინისტრთა საბჭოს ფიზკულტურისა და სპორტის სახელმწიფო მდივანი პროფესორი ერბახი:

— საბჭოთა კავშირმა, რომელიც აქტიურად და თანმიმდევრულად იცავს ჰუმანისტურ პრინციპებს სპორტში, დიდი აღიარება მოიპოვა. მას დამსახურება მიუძღვის როგორც ოლიმპიური მოძრაობის განვითარებაში, ისე საერთაშორისო სპორტული თანამშრომლობის გაფართოებაში. მოსკოვში სპორტული ბრძოლები მეგობრული სულისკვეთებით ჩატარდება.

ოლიმპიური ჩემპიონი წყალში ხტომაში ინგრიდ გულბინი:

— მე ბევრჯერ გამოვსულვარ მოსკოვში გდრ-ის ნაკრები გუნდის შემადგენლობაში და მუდამ კარგად ორგანიზებული, თანამედროვე სპორტულ ბაზებზე გამართული საერთაშორისო ასპარეზობის მონაწილე ვყოფილვარ. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სტუმართმოყვარეობა, რომლითაც ყველა სპორტსმენს ეგებებიან საბჭოთა კავშირის მოქალაქეები.

ჰავანა, 25 ოქტომბერი. „მოსკოვის არჩევა მსოფლიოში უდიდესი სპორტული ფორუმის მასპინძლად შემთხვევითი არ არის: სოციალისტურ ქვეყნებს უდიდესი დამსახურება მიუძღვით სპორტის განვითარებაში, — წერს კუბის გაზეთი „გრანმა". — საბჭოთა სპორტსმენებზე და საბჭოთა ხალხზე უკეთესს ვისა აქვს ოლიმპიადის ჩატარების უფლება?".

გაზეთი აღნიშნავს, რომ სსრ კავშირის ძმურმა დახმარებამ სოციალისტური ქვეყნების, მათ შორის კუბის სპორტსმენებს საშუალება მისცა წარმატებით გამოსულიყვნენ მიუნხენის თამაშებში.

რომი, 25 ოქტომბერი. იტალიის გაზეთ „ჯორნოს" აზრით, ვენაში სოკ-ის სესიამ „მიიღო ორი გადაწყვეტილება, რომლებიც მსოფლიოს სპორტის ისტორიაში შევა. ესაა მოსკოვის არჩევა ოლიმპიადის მასპინძლად და სამოყვარულო სპორტის წესების განახლება. კილანინის ანტიკონსერვატიულმა პოლიტიკამ ოლიმპიურ კომიტეტში უკვე გამოიღო ნაყოფი".

„ჯორნალე": „ის, რომ ოლიმპიადა მშვიდობიანი თანაარსებობის ერთ-ერთი გამოვლინებაა, უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტია. იგი უყოყმანოდ უნდა მივიღოთ". (საქინი).

# ტურიშჩევა მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონია

ვარნა, 25 ოქტომბერი. როსტოველმა სპორტსმენმა ლ. ტურიშჩევამ მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის წოდება მოიხვეჭა სპორტულ ტანვარჯიშში. მრავალჭიდის ჯამში ამ შესანიშნავმა სპორტსმენმა 78,450 ქულა დააგროვა.

ვერცხლის მედალი გროდნოელ ო. კორბუტს ხვდა — 77,650 ქულა.

III ადგილზეა ა. ჰელმანი (გდრ) — 76,875.

IV ადგილზეა მოსკოველი ე. საადი (76,425), V — ბათუმელი რ. სიხარულიძე (76,400), VI — გდრ-ის წარმომადგენელი ა. ცინკე (76,325). 16 წლის გერმანელმა ქალიშვილმა იმ საღამოს საუკეთესო შეფასება მიიღო — 9,95 ქულა დაიმსახურა ორძელზე ვარჯიშში.

VII ადგილი დაიკავა თბილისელმა ნ. დრონოვამ (76,125). ტრავმის გამო ხარიხელზე ვერ გამოვიდა ჩიმკენტელი ნ. კიმი.

# დონის როსტოვსა და შიაულიაიში

გრძელდება ხელბურთელ ვაჟთა გუნდების XIV საკავშირო ჩემპიონატის მატჩები. როსტოვის ჯგუფში უხეიროდ თამაშობს ტაშკენტის ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტკლუბის კოლექტივი, რომელმაც 25 ოქტომბერს წააგო შეხვედრა მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდთან — 28:37 (14:20). ეს ტაშკენტელთა ზედიზედ მესამე წაგებაა.

მოსკოვის „კუნცევომ" ანგარიშით 29:16 (13:11) სძლია კიევის ასკ-ს.

შიაულიაიში გუშინწინ გამართული მატჩები ასე დამთავრდა: ცსკა — თბილისის „ბურევესტნიკი" 31:25 (16:13), მინსკის „პოლიტექნიკი" — ზაპოროჟიეს „ალუმინსტროი" 26:22 (13:9).

## მსოფლიო კიდევლოვის პრეტენდენტთა ფინალური მატჩი

# კარპოვი — კორჩნოი 2:0 (13 ყაიმი)

მოსკოვი, 25 ოქტომბერი. (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). დღეს ლიტერატორთა სახლში კარპოვ — კორჩნოის მატჩის XVI პარტია გაიმართა. ამჯერადაც, ისევე როგორც ყველა პარტიაში, რომლებშიც კორჩნოი შავებით თამაშობდა, გათამაშდა ფრანგული დაცვა. მეტოქეები განაგრძობენ თეორიულ დავას. კორჩნოიმ მე-11 სვლაზე ახლებურად ითამაშა.

იგრძნობა, რომ კარპოვი არ ცდილობს თამაშის გართულებას, ყოველთვის მზადაა ყაიმზე შეუთანხმდეს მეტოქეს. მან ახლაც საუცხოოდ განალაგა ფიგურები და თამაშის გამარტივებაზე თანახმა იყო. კორჩნოი, პირიქით, ფიგურების გაცვლას თავს არიდებდა.

კარპოვმა სვლები გაიმეორა, მაგრამ კორჩნოის ყაიმი ხელს არ აძლევს. მან გაართულა თამაში. ამ ცდაზე მან რისკის დაშვებულ ზღვარს გადააბიჯა. მისი 35-ე, 36-ე და 37-ე სვლები სუსტი იყო. კორჩნოიმ შეწირული მხედარი რომ არ მიიღო (მე-40 სვლაზე აყვანის შემთხვევაში კარპოვის ორი გამსვლელი პაიკი პარტიას მოიგებდა), უპაიკოდ დარჩა. სწორედ ამ მომენტში ამოიწურა თამაშისთვის განკუთვნილი დრო და პარტია გადაიდო. კარპოვმა ჩაიწერა თავისი 41-ე სვლა.

გთავაზობთ XVI პარტიას:

**კარპოვი — კორჩნოი**

ფრანგული დაცვა

1. e4 e6 2. d4 d5 3. მd2 c5 4. ed ed 5. მgf3 მc6 6. კb5 კd6 7. 0—0 cd 8. მb3 მge7 9. მb:d4 0—0 10. c3 კg4 11. ლa4 ლd7 12. კe3 a6 13. კe2 მ:d4 14. ლ:d4 მc6 15. ლd2 ეfe8 16. ეad1 ეad8 17. კb6 კc7 18. კ:c7 ლ:c7 19. ეfe1 h6 20. h3 კf5 21. კf1 ე:e1 22. ლ:e1 ლb6 23. ეd2 კe4 24. ლe2 მa5 25. ლd1 ლf6 26. მh2 ლb6 27. მf3 მc6 28. მd4 მe5 29. f3 კg6 30. ლc1 მd7 31. ლf2 ლa5 32. a3 ლc7 33. მb3 კf5 34. მd4 კg6 35. მc2 მf6 36. მe3 ლe5 37. c4 b5 38. cd h5 39. a4 ეe8 40. ab ab. პარტია გადაიდო.

# ყველა I ადგილი!

როგორც ცნობილია, წლეულს რიო-დე-ჟანეიროში ჩატარდა ახალგაზრდა ძიუდოისტთა I მსოფლიო ჩემპიონატი. ეს იყო იაპონური ჭიდაობის ფაქტიური აღიარება ყველა რანგში, ვინაიდან უფროსთა შორის ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატები უკვე კარგა ხანია ტარდება. რიო-დე-ჟანეიროს ტურნირმა ერთგვარი სტიმული მისცა იუნიორთა სხვადასხვა საერთაშორისო შეჯიბრებას.

ამას წინათ ერთი ასეთი ტურნირი უნგრეთის დედაქალაქშიც ჩატარდა. ბუდაპეშტის ტატამზე თავი მოიყარეს ევროპის 6 ქვეყნის იუნიორთა ნაკრებმა გუნდებმა. მათ შორის იყო საქართველოს კოლექტივიც.

ტურნირი ჩვენი ძიუდოისტების ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა. საქართველოს ნაკრებმა გუნდური I ადგილი მოიპოვა. პირად ჩათვლაშიც ქართველი ძიუდოისტების უპირატესობა აშკარა იყო — ექვსივე I ადგილი მათ დაისაკუთრეს. გაგაცნობთ გამარჯვებულებს: გ. ნამგალაძე, ა. ობგაიძე, ზ. ლოლაშვილი, ე. დამადაევი, ჯ. კბილაშვილი, თ. ყურაშვილი.

აღნიშნულ სპორტსმენთა გარდა საპრიზო ადგილებზე გავიდნენ ზ. გუგავა (II) და ტ. ცინცაძე (III).



# უპირატესობას ვერ მიაღწიეს

საქართველოს სპორტკომიტეტის ზამთრის საცურაო აუზში 24 ოქტომბერს მოეწყო საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა წყალბურთში თბილისის „ბურევესტნიკსა" და დუისბურგის „ამატერს" შორის.

ჩვენი სტუმრების გუნდი ერთ-ერთ უძლიერესადაა მიჩნეული თავის ქვეყანაში. იგი გფრ-ის ხუთგზის ჩემპიონია, ბევრჯერ დაუკავებია, საპატიო კვარცხლბეკის მეორე და მესამე საფეხურები. თბილისში ჩამოსვლამდე დუისბურგელი წყალბურთელები მოსკოვში შეხვდნენ სსრ კავშირის ჩემპიონს — მოსკოვის უნივერსიტეტის გუნდს და წააგეს ანგარიშით 6:12.

თბილისის მატჩი შეუპოვარ, საინტერესო ბრძოლაში ჩატარდა. ხან ერთი გუნდი იყო წინ, ხან მეორე: 1:0, 1:1, 2:1, 2:2, 2:3, 3:3, 3:4 და ასე შემდეგ. მაგრამ შეხვედრა ისე დამთავრდა, რომ უპირატესობა მეტოქეთაგან არც ერთს არ მოუპოვებია — 9:9.

დ. მჭედლიძე.

* * *

სურათზე: ამ გოლმა თბილისელებს ფრე მოუტანა.

ა. კოტორაშვილის ფოტო.



# თასისთვის ბრძოლაში

თბილისში, „დინამოს" კორტებზე, მიმდინარეობს ჩოგბურთში სსრ კავშირის თასის გათამაშების ფინალური შეჯიბრებები. ქალთა შორის საპატიო ჯილდოსთვის ბრძოლაში ჩაებნენ მოსკოვის, ტალინისა და თბილისის დინამოელები, აგრეთვე, ალმა-ათის არმიელთა კოლექტივი. ვაჟთა შეჯიბრებაში გამოდიან მოსკოვისა და რიგის არმიელთა გუნდები, ალმა-ათის „ლოკომოტივი" და დუშანბეს „ტაჯიკისტანი".

გაგაცნობთ პირველ შეხვედრათა შედეგებს. ქალთა შეჯიბრებაში მოსკოვის დინამოელებმა ანგარიშით 4:1 დაამარცხეს ალმა-ათის გუნდი. ეს ერთი ქულა ყაზახეთის სპორტსმენებს მოუტანა შარშანდელი საკავშირო კლასიფიკაციით 24-ე ადგილზე მყოფმა ნ. ფოლინოვამ, რომელმაც დაამარცხა ქვეყნის მესამე ჩოგანი მ. ჩუვირინა — 6:4, 6:2. თბილისის დინამოელები სპორტის ოსტატ ნ. თუზარელის ავადმყოფობის გამო შესუსტებული შემადგენლობით გამოვიდნენ სარბიელზე და დამარცხდნენ ტალინელ თანაკლუბელებთან — 0:5.

ცსკა-ს ვაჟთა გუნდმა ანგარიშით 5:0 დაამარცხა ალმა-ათის წარმომადგენლები. რიგელმა ჩოგბურთელებმა მოუგეს დუშანბეს გუნდს.

ს. ფიქიალაძე.

* * *

სურათზე: მოსკოვის დინამოელი ნ. ჩმირიოვა, რომელზეც სპეციალისტები დიდ იმედებს ამყარებენ.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

# მილიონთა სტარტები

29 ოქტომბერს სოჭში დაიწყო ქვეყნის პირველი ჩემპიონატი მშდ კომპლექსის მრავალჭიდში გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას" პრიზზე. უკან დარჩა საკავშირო ჩემპიონატის სამი ეტაპი, სადაც სტარტზე მილიონები გამოვიდნენ. ასი ათასობით ფიზკულტურელმა მშდ კომპლექსის ოქროს და ვერცხლის სამკერდე ნიშნები მიიღო. მათ შორის არიან მოწინავე საბჭოთა სპორტსმენებიც, მსოფლიოს და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები. საბჭოთა ქვეყნის ბევრ ქალაქსა და სოფელში ეს შეჯიბრება ნამდვილ სპორტულ დღესასწაულად იქცა.

სსრ კავშირის ახალი ჩემპიონატი ალბათ ყველაზე მასობრივი და ერთ-ერთი პოპულარულია საბჭოთა ქვეყანაში. ფინალურ შეჯიბრებებში გამარჯვებულნი დაჯილდოვდებიან ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებით, გარდა ამისა, საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა დააწესა 4 გუნდური და 18 პირადი პრიზი ფინალის საუკეთესო მონაწილეებისთვის.

გამარჯვებულთა გამოსავლენად შეიქმნა მთავარ მსაჯთა კოლეგია საბჭოთა კავშირის გმირის, ოქროს ვარსკვლავის პირველი კავალერის ა. ლიაპიდევსკის ხელმძღვანელობით. ყოველივე ეს ითქვა 28 ოქტომბერს გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას" რედაქციაში გამართულ პრეს-კონფერენციაზე. (საქინი).

ეროვნული

# საქართველოს აფროსნები „სევასტოპოლის დიდებაში“

სევასტოპოლის სანაპიროსთან ლამაზად დასრიალებენ აფროსანი ნავები. აქ დიდი აფროსნობის დღეები დგას. ახლახან დამთავრდა საკავშირო რეგატა — „სევასტოპოლის დიდება“, შემდეგ კი ამ შეჯიბრების მონაწილეები იქვე, შავი ზღვის რეგატაში ჩაებნენ.

— რა შედეგები მოიპოვეს საქართველოს სპორტსმენებმა „სევასტოპოლის დიდებაში“? — ვკითხეთ საქართველოს აფროსანთა და აკადემიური ნიჩბოსნობის ოსტატთა სახელმწიფო მწვრთნელს ს. კალანდაძეს.

— შედეგებით ძალიან კმაყოფილი ვარ, — გვიპასუხა სახელმწიფო მწვრთნელმა. — „სევასტოპოლის დიდებაში“ ჩვენებმა ერთი II და ორიც III ადგილი მოიპოვეს, ასეთი მაჩვენებლებისთვის საქართველოს აფროსნებს სხვა დროს არ მიუღწევიათ. ჩვენი სპორტსმენებიდან პირველ ყოვლისა სოხუმელი სპორტის ოსტატი ზურაბ ახუბა უნდა დავასახელოთ. მის გვარს წლეულს თითქმის ყველა საკავშირო რეგატის პრიზიორთა სიებში ვხედავთ. ახუბამ სევასტოპოლშიც ისახელა და კატამარან „ტორნადოთი“ II საპრიზო ადგილი დაიკავა. მისი მატროსი ახუბე სპორტის ოსტატი კონსტანტინე სტროტილოვი გახლდათ.

საკავშირო რეგატაში საპატიო კვარცხლბეკზე პირველად ავიდა თბილისელი სპორტის ოსტატი თამაზ ზოიძე. მას „ტემპესტის“ კლასში III საპრიზო ადგილის მოპოვება მიულოცეს მეგობრებმა.

„სოლინგის“ კლასში მესამე იყო საქართველოს იახტა, რომელსაც საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ტიმირ პინეგინი მეთაურობდა (მატროსები გიორგი ნახარიძე და ნუგზარ დავლიანიძე).

პინეგინის სახელი კარგადაა ცნობილი მსოფლიოს აფროსანთა შორის. იგი ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოს, სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი და პრიზიორია. პინეგინი არც ისე დიდი ხანია, რაც მოსკოვიდან თბილისში გადმოვიდა საცხოვრებლად. იგი ჩვენი გუნდის უფროსი მწვრთნელიც არის და წარმატებაში, რომელიც საქართველოს აფროსნებმა „სევასტოპოლის დიდებაში“ მოიპოვეს, უდავოდ დიდი დამსახურება მიუძღვის.

ამ შეჯიბრებაში მონაწილეობდა საქართველოს კიდევ ერთი აფროსანი — გურამ ბიგანიშვილი. მან „ფინის“ კლასში IX ადგილი დაიკავა. ასპარეზობა გუნდურიც რომ ყოფილიყო, ჩვენები უდავოდ კარგ ადგილს დაიკავებდნენ.

ა. გურასაშვილი.

ვეხმაურებით მ. მჭედლიშვილის წერილს „იქნებ ასე სჯობდეს“

# საჭიროა ცვლილებები

მ. მჭედლიშვილი დროულად აყენებს საკითხს ზოგად-საგანმანათლებლო სკოლებში ფიზკულტურული მუშაობისა და სკოლის ფიზკულტურის საპროგრამო მასალის შესახებ. უდავო ჭეშმარიტებაა, რომ დიდ სპორტთან კავშირს საძირკველი სასკოლო ასაკში ეყრება.

როგორ ხორციელდება ფიზკულტურის საპროგრამო სწავლება სკოლებში? შეიძლება ითქვას, არასახარბიელოდ. მიზეზი? მიზეზი ბევრია.

პირველი. ნამდვილად ცოტაა ორი გაკვეთილი კვირაში. ფაქტიურად, 45-წუთიანი გაკვეთილი მხოლოდ 35-36 წუთს გრძელდება (დანარჩენი დრო მიაქვს სპორტული ფორმის გახდა-ჩაცმას). როცა კლასში 40-42 მოსწავლეა და შესასწავლი აქვთ, მაგალითად, სიმაღლეზე ხტომა, ეს დრო, რასაკვირველია, საკმარისი არ არის. ჩემი აზრით, გაკვეთილების რაოდენობა უნდა გაიზარდოს. უკიდურეს შემთხვევაში, საჭიროა 90-წუთიანი გაკვეთილის შემოღება.

მეორე. ბევრი სკოლის დაწყებით კლასებში ფიზკულტურას არასპეციალისტები ასწავლიან. ისინი საპროგრამო მასალას არ გადიან და დროს სხვა საგნის გამეორება-გაღრმავებას ანდომებენ. ამიტომაც III-IV კლასებში მასწავლებელი I-II კლასების საპროგრამო მასალას გადის, რაც საბოლოოდ უარყოფითად მოქმედებს ყველა კლასში ფიზკულტურის სწავლებაზე.

მესამე. ბევრ სკოლას სპორტული ბაზები არ გააჩნია, ესე იგი ბავშვებს არა აქვთ საჭირო პირობები საპროგრამო მასალის ათვისებისთვის. მართებულად შენიშნავს მ. მჭედლიშვილი, რომ პირველ ყოვლისა საჭიროა მასწავლებელს სამუშაო პირობები შეუქმნათ, მერე კი მუშაობა მოვთხოვოთ.

სკოლაში ფიზაღზრდის მასწავლებელი გადატვირთულია სარაიონო და საქალაქო შეჯიბრებებში მონაწილეობისთვის მოსწავლეთა მცირერიცხოვანი ჯგუფის მომზადებით, მასობრივი სპორტული ცხოვრების ხელმძღვანელობისთვის კი დრო არ რჩება.

მ. მჭედლიშვილი მართებულად მოითხოვს, რომ სკოლას სარაიონო და საქალაქო სპორტღონისძიებათა კალენდარი ჰქონდეს. ამ კალენდრის მიხედვით მასწავლებელი შეძლებს სასკოლო შეჯიბრებები დაგეგმოს და სკოლის ფიზკულტურული კოლექტივის მუშაობა წარმართოს. სინამდვილეში კი რა ხდება? სარაიონო და საქალაქო შეჯიბრებები ისე ტარდება, რომ წინასწარ მათ შესახებ სკოლებმა არაფერი იციან. მოსწავლეები ბრძოლისთვის მოუმზადებელი არიან. ყოვლად დაუშვებელია შეჯიბრება გაიმართოს, ვისაც როგორ და როდის მოესურვება. ეს მავნე პრაქტიკა ხელს უშლის სასკოლო ტურნირებს.

სკოლების მონაწილეობა რაიონულ და საქალაქო შეჯიბრებებში რეგლამენტირებული უნდა იყოს.

სკოლაში ფიზკულტურის საპროგრამო მასალის ათვისების ეფექტურობისთვის საჭიროა ქალ-ვაჟთა ცალ-ცალკე მეცადინეობა იწყებოდეს არა IX-X, არამედ V კლასიდან. ზოგიერთ რესპუბლიკაში, მაგალითად, აზერბაიჯანში, ეს უკვე დანერგილია პრაქტიკაში.

გასარკვევია კიდევ ერთი საკითხი: თუ IX ან X კლასში 25 მოსწავლეზე მეტია, მაშინ ფიზკულტურაში გოგონებსა და ბიჭებს ცალ-ცალკე ამეცადინებენ, თუ 25-ზე ნაკლებია — ერთად. ეს გაუგებარი წესია. იგი დამატებით შესწავლას მოითხოვს და შეცვლასაც.

უნდა ამზადებდეს თუ არა სკოლა თანრიგოსან სპორტსმენებს? თანრიგოსნების მომზადება სპორტსკოლების საქმეა. საშუალო სკოლებში ძირითადად ფიზკულტურას ვასწავლით და არა სპორტს. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ სკოლის მასწავლებლებმა თანრიგოსნების მომზადებაზე მთლიანად ავიღოთ ხელი. ჩვენ მოვალენი ვართ მოსწავლეები მოვამზადოთ და ჩავაბარებინოთ მშდ კომპლექსის ნორმატივები ასაკის მიხედვით. რატომ არ შეიძლება მოზარდთა მესამე თანრიგიც მიენიჭოს მოსწავლეს, რომელიც მშდ კომპლექსის მესამე საფეხურის ნორმატივებს აბარებს ფრიადზე მძლეოსნობის სახეობაში? ზემდგომი ორგანოები სკოლებს არ უნდა ავალებდნენ თანრიგოსნების მომზადებას. ხშირად ეს გეგმა მასწავლებელს სიყალბისკენ უბიძგებს. ვის რაში სჭირდება ეს ფიქციური თანრიგოსნები?

ვფიქრობ, თანრიგოსნებს სპორტსკოლებში უნდა ამზადებდნენ. ფიზაღზრდის მასწავლებელი მოვალეა დაკვირვებით შეარჩიოს ფიზიკურად ძლიერი მოსწავლეები და სპორტსკოლაში გაგზავნოს ისინი.

მ. მჭედლიშვილს არ ვეთანხმები ერთ საკითხში: მისი სიტყვით, სპორტსკოლაში ბავშვმა უნდა გაიაროს სწავლებისა და წვრთნის ოთხი პერიოდი, ოთხი განყოფილება, რათა განისაზღვროს, თუ რომელ სახეობაში გამოდგება იგი. ეს დიდ დროს და ხანგრძლივ დაკვირვებას მოითხოვს, რაც, ჩემი აზრით, ძირითადად სკოლაში უნდა ხდებოდეს.

საჭიროა სპორტსკოლებში გაშლილი იყოს წმინდა სპორტული მუშაობა. ბავშვების დაოსტატებისთვის რაიონის სპორტსკოლის მწვრთნელ-მასწავლებლებს უნდა შევუქმნათ მუშაობის ისეთი პირობები, რომ მათ ცენტრალურ სპეციალიზებულ სპორტსკოლებს შესაფერისად მომზადებული ახალგაზრდები გაუგზავნონ.

ვ. ბაბიტაშვილი,
თბილისის 51-ე საშუალო სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებელი, საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი, საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი ტანვარჯიშში.

# მეგობართა შეჯიბრება

რამდენიმე წლის მეგობრობა აკავშირებთ სპორტსაზოგადოება „განთიადის“ აჭარის საოლქო საბჭოს, სომხეთის „აშხატანისა“ და „ნაირის“ სპორტსმენებს. ისინი ყოველწლიურად აწყობენ ამხანაგურ შეხვედრებს სპორტის რამდენიმე სახეობაში.

ამას წინათ ბათუმს ერევნიდან და კიროვაკანიდან ადგილობრივი „ნაირისა“ და „აშხატანის“ ფრენბურთელები, ხელბურთელები, კალათბურთელები და მოჭიდავეები ეწვივნენ.

ბათუმელმა ფრენბურთელმა ვაჟებმა კიროვაკანის „აშხატანი“ დაამარცხეს ანგარიშით 3:0, ქალებმა — 3:1. სამაგიეროდ, „აშხატანის“ კალათბურთელმა ვაჟებმა ანგარიშით 65:53 მოუგეს მასპინძლებს. მეორე დღეს ბათუმელებმა აიღეს რევანში — 77:67.

ერევნის „ნაირისა“ და ბათუმის კალათბურთელ ქალთა შეჯიბრებაში გაიმარჯვეს სტუმრებმა — 43:38. განმეორებით მატჩში იმარჯვეს მასპინძლებმა — 46:37.

თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა მატჩში გაიმარჯვეს კიროვაკანელმა სპორტსმენებმა — 6:4.

ხელბურთელ ვაჟთა შეჯიბრებაში პირველი მატჩი მოიგეს ერევნელებმა (19:17), მეორე შეხვედრაში კი გაიმარჯვეს ბათუმელებმა — 21:18.

სომეხმა სპორტსმენებმა დაათვალიერეს აჭარის ღირსშესანიშნაობანი.

ო. მურვანიძე.
(ჩვენი კორ.).

ბათუმი.

აზერბაიჯანის სსრ. ბაქოში, ლენინის სახელობის სტადიონზე, როგორც ცნობილია, ამას წინათ დამთავრდა V საერთაშორისო შეჯიბრება მძლეოსნობაში, რომელიც 26 ბაქოელი კომისრის ხსოვნას ეძღვნებოდა. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვის, ლენინგრადის წარმომადგენლები, აგრეთვე, ბულგარეთიდან, უნგრეთიდან, ჩეხოსლოვაკიიდან, რუმინეთიდან და პოლონეთიდან ჩამოსული სტუმრები.

სურათზე: ფინალური შეჯიბრება 110 მეტრზე თარჯრბენში. გაიმარჯვა ნოვოსიბირსკელმა ბ. პრიდოროგინმა (წინა პლანზე) — 14,8 წამი.

ი. ხალილოვის ფოტო. (საქინი).



საკდესი მოგვითხრობს

## მრავალჭიდელთა ოსტატური შედეგები




შიაულიაის ტელევიზორების ქარხნის მუშამ, 19 წლის ზიტა იანულიტემ მოიგო მშდ კომპლექსის უძლიერეს მრავალჭიდელთა რესპუბლიკური შეჯიბრება და 589 ქულა დააგროვა. ეს შედეგი სსრ კავშირის ჩემპიონატის მონაწილე მრავალჭიდელებისთვის დადგენილ ოსტატის ნორმატივზე მაღალია. ზიტას წარმატება შემთხვევითი არ არის. ეს ქალიშვილი მრავალმხრივი ფიზკულტურელია, წარმატებით გამოდის თავისი ქარხნის სპარტაკიადებში. რესპუბლიკის ჩემპიონი ახლა მშდ კომპლექსის მრავალჭიდელთა პირველი საკავშირო ჩემპიონატისთვის ემზადება.

ოსტატის შედეგი მოიპოვა, აგრეთვე, ვაჟთა შორის გამარჯვებულმა, პანევეჟისელმა ექიმმა, 83 წლის ალგიმანტას კაირისმა. განსაკუთრებით კარგად გაირბინა მან 3000 მეტრი — 8 წუთსა და 48 წამში.

უძლიერესთა შეხვედრით დამთავრდა მშდ კომპლექსის მრავალჭიდელთა საზაფხულო-საშემოდგომო შეჯიბრება, რომლის პროგრამაშიც, ამას გარდა, შედიოდა მასობრივი ასპარეზობა „კომსომოლსკაია პრავდის“ პრიზზე და ლიტვის პირველი ჩემპიონატი ამ სახეობაში. ასპარეზობათა ყველა ეტაპზე ნახევარ მილიონზე მეტი ფიზკულტურელი გამოვიდა.

ვილნიუსი.

## „ოქროს შემოდგომის“ სტარტები

პეტროზავოდსკში სტარტი აიღო მძლეოსნურმა ესტაფეტამ რესპუბლიკურ გაზეთ „კომსომოლეცის“ პრიზზე. ამ შეჯიბრებით, რომელიც ტარდება დევიზით: „მშდ — სტარტი ყველასთვის“, ავტონომიურ რესპუბლიკაში დამთავრდა საზაფხულო-საშემოდგომო სეზონი. საპრიზო ადგილებისთვის იბრძოდნენ უმთავრესად ო. კუუსინენის სახელობის უნივერსიტეტის, პედაგოგიური ინსტიტუტისა და მრეწველობის ტრესტის სპორტსმენები.

სპორტული ზამთრის მისალოცებთან კარელიაში მშდ კომპლექსის თავისებურ დათვალიერებად იქცა მასობრივი კროსები „ოქროს შემოდგომა“. ამ შეჯიბრებებში ყველა ასაკის ხალხი მონაწილეობს.

პირველი ასეთი კროსი ლოუხის რაიონში ჩატარდა, რომლის ტერიტორიაც პოლარულ წრეს ეკვრის. მშდ კომპლექსის ნიშნოსნებმა სტარტზე გამოიყვანეს პიაოზერის სატყეო მეურნეობის, სამთო-გამამდიდრებელ კომბინატ „კარელსლიუდის“ და რაიონის სხვა საწარმოთა მუშების ოჯახები. შემდეგ ჩატარდა ბელომორსკის, კალევალის, კემის, მედვეჟეგორსკის ფიზკულტურელთა მასობრივი შეჯიბრებები.

„ოქროს შემოდგომის“ ესტაფეტამ, რომლის მარშრუტიც კარელიაზე — ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ, თეთრი ზღვიდან ლადოგის ტბის ჩრდილოეთის სანაპიროზე დაბებისა და ქალაქებისკენ მიემართება, ახალი კომპლექსის სტარტებზე თავი მოუყარა მონაწილეთა სარეკორდო რიცხვს — თითქმის 25 ათას კაცს.

ნ. მილოვი.

პეტროზავოდსკი.

## ჩემპიონები... რიტინიში

კუპიშკისის სოფლის სპორტსმენებმა პირველად მოიპოვეს რესპუბლიკის ჩემპიონობა ეროვნულ თამაშში, რომელსაც რიტინისი ჰქვია. მანამდე ექვსი წლის განმავლობაში პლუნგეს რაიონის წარმომადგენლები პირველობდნენ.

... წინათ რიტინისში სოფლები ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. ყოველი გუნდი ცდილობდა ყვანჩებით გადაეგდო ძელაკი სოფლის საზღვარზე. ახლა რიტინისის სარბიელი საფეხბურთო მინდვრის ფარგლებითაა შემოსაზღვრული.

კუპიშკისის რაიონის სპორტსმენთა წარმატება შემთხვევითი არ არის. მათმა მწვრთნელმა — საშუალო სკოლის მასწავლებელმა რ. გალინისმა ამ თამაშის ბევრ მოყვარულს მოუყარა თავი. შეიქმნა გუნდები კოლმეურნეობებში, სამრეწველო საწარმოებში, სკოლებში. სპორტსმენთა ერთ ნაწილს ამ ეროვნულ თამაშში მოპოვებული განსაკუთრებული წარმატებებისთვის ლიტვის სსრ სპორტის ოსტატის წოდება მიენიჭა.

ს. ვაინტრაუბასი.

კუპიშკისი,
ლიტვის სსრ.

# დამხობილი კედელი

ფეხბურთზე ძალიან ბევრია დაწერილი, მაგრამ ამის ბადალი ალბათ არავის არაფერი უთქვამს: „ყველაფერს, რაც მორალისა და ადამიანის მოვალეობების შესახებ ვიცი, ფეხბურთს უნდა ვუმადლოდე".

ეს სიტყვები ეკუთვნის ფრანგ მწერალს ალბერ კამიუს, „ჭირისა" და „უცხოს" ავტორს, მორალისტს, ფილოსოფოსს, მეორე მსოფლიო ომში წინააღმდეგობის მონაწილეს, ნობელის პრემიის ლაურეატს.

მიუნჰენის მსოფლიო ჩემპიონატის მსვლელობისას მრავალი ქვეყნის სპორტული ჟურნალისტები დაკავებული იყვნენ 1974 წლის 13 ივნისიდან 7 ივლისამდე ყველაზე პოპულარულად ქცეული ფეხბურთის თემით. ამ პერიოდში გამოსული მრავალტირაჟიანი ყოველკვირეულები, აგრეთვე, ბულვარული გამოცემები, რომელთა მიზანს ხშირად, უბრალოდ, ადამიანების გასულელება წარმოადგენს, მოგვითხრობდნენ ფეხბურთის როგორც ჭეშმარიტ, ისე შეთხზულ ყოვლისშემძლეობაზე. ამ დროს კი ბევრი მათგანი, ვინც ფარდას ხდიდა საფეხბურთო კულისების საიდუმლოებებს, ალბათ წუთითაც არ ჩაფიქრებულა იმ შესანიშნავ სიტყვებზე, რომლებიც გულიდან ამოხდა მეტად პატივსაცემ ადამიანს, ფრანგ მწერალს ალბერ კამიუს.

განა შეიძლება უკეთ გამოხატო ღირსება სპორტის იმ სახეობისა, რომელსაც, ტიბეტის ზეგანს თუ არ ჩავთვლით, მთელ მსოფლიოში მისდევენ?

დღეს მოდაში აღარ არის რომანტიკა, რომელიც გაბატონებულია ბიზნესმენების კონტორებსა და ბუკმეკერების ჯიხურებში, სადაც ნაძლევს დებენ იმაზე, თუ ვინ უფრო მეტ გოლს გაიტანს თამაშში, რომანტიკა მიუნჰენის სასტუმრო ჰილტონისა, სადაც ფეხბურთის ყოველი მორიგი მატჩის შემდეგ ქალთა შიშველი მხრების შეფასებით, თავიანთი რეალური თუ ფიქციური კარიერისთვის ზრუნვით ერთობიან.

ბურთის რომანტიკა — ეს არის გვერგვიჯ ლატოს გასვლა ბრაზილიელი მცველების კედელს შორის, რომანტიკა — ეს არის ფეხბურთელთა როკვა 90 წუთის მანძილზე წვიმის პექტოლიტრებით სავსე მინდორზე; რომანტიკა — ეს არის ჰოლანდიელი თავდამსხმელების გიჟური გასვლები მაიერის კარისთან. როცა გამოირკვა, რომ ტოტალური შეტევის კარგად დაზეთილი მანქანის მართვა არცთუ იოლი საქმეა, რადგან აკლიათ კაცი, რომელსაც შეუძლია მეტოქეს ფეხებს შორის დაურტყას ბურთი ან მოატყუოს დრამატულ, განწირულ ნახტომში გაქვავებული მეკარე.

ან იქნებ თანამედროვე ფეხბურთში უკვე აღარ არის რომანტიკა? ვფიქრობთ, რომ არის. ეს რომ დავინახოთ, საჭიროა წამოვდგეთ და მივატოვოთ საპატიო ტრიბუნების სავარძლები. მერე ერთი წამით მაინც უნდა დავივიწყოთ ბუკმეკერების ჯიხურები და ჰილტონის სასტუმრო. შემდეგ საჭიროა სავარჯიშო კოსტიუმის ჩაცმა და მისვლა თვით სპორტსმენებთან, რომლებისთვისაც ფეხბურთი წარმოადგენს ვნებას და გართობას, რელიგიას, როგორც ბრაზილიელებისთვის, მათემატიკას, როგორც შვედებისთვის. ასეთი ნაბიჯის გარეშე ფეხბურთისა და სპორტის სხვა ნებისმიერი სახეობების შესახებ ლაპარაკი შეუძლებელია და საერთოდ არც ღირს. წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება დაეცე საღამოს გაზეთების მყვირალა სათაურებამდე და მხოლოდ ისღა დაწერო, თუ ვინ უფრო დაშავდა მატჩში, რამდენი გადაუხადეს ამა თუ იმ ფეხბურთელს გატანილი გოლისთვის, და არ დაწერო, თუ რა კარგად იცავდნენ თავს ფეხბურთელები და რანაირად უტევდნენ.

როგორც ცნობილია, 1973 წელმა ინგლისის ნაკრებს გაწბილების მეტი არაფერი მოუტანა. მაგრამ, თუ თავიანთი ინგლისური ფეხბურთის უსაზღვროდ მოყვარული მაყურებლები გულწრფელად განიცდიდნენ ამ მარცხს, ინგლისელ ვაჭრებს ადარდებდათ ის გარემოება, რომ არ გაიყიდებოდა ბევრი საფეხბურთო სუვენირი, რომ მაისურები წარწერით „მიუნჰენი" მყიდველს ვერ ნახავდა. თუ ფეხბურთის ჭეშმარიტ მოყვარულთა სასოწარკვეთილება ადამიანურად გასაგები გახლდათ, ვაჭრების მწუხარება სრულიად უცხო იყო გულშემატკივრებისა და ფეხბურთელებისთვის. განსაკუთრებით იმ ფეხბურთელებისთვის, რომლებსაც ფეხსაცმლის მაღაზიები, საპარიკმახეროები და უნივერმაღები არა აქვთ.

პოლონელებთან დამარცხების შემდეგ ინგლისელი სპორტული მენეჯერის პირველი რეაქცია მიუნჰენის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩე-

ვ. დუნსკი,

ჟურნალ „სპორტოვეცის" (ვარშავა) მთავარი რედაქტორი

ბით გამოწვეული წუხილის გამოთქმა იყო. გამოითქვა ეჭვი, თუ რამდენად მიზანშეწონილია ფინალის გამართვა უინგლისელებოდ. ამბობდნენ, ტურნირისადმი ინტერესი დაეცემა, მაყურებლები არ იყიდიან ბილეთებს და არც ინგლისელი გულშემატკივრები ჩავლენ შეჯიბრებაზეო. ტურისტული ინდუსტრიისთვის ეს ნიშნავდა უზომო ზარალს, რესტორნებისთვის — შეუჭმელ ღორის კოტლეტებსა და დაუცლელ ლუდის კასრებს, ვაჭრებისთვის კი — გაუყიდავ სუვენირებს, წინდებს, ცხვირსახოცებს, ქუდებსა და ალმებს, ერთი სიტყვით, ყველაფერ იმას, რასაც ინგლისიდან ჩამოსულები ფულს გადაიხდიდნენ. გადაკრულად იმასაც ამბობდნენ, რომ პოლონელებმა შემთხვევით დაამარცხეს ინგლისელები და ამიტომ საჭიროა ფინალის მონაწილე გუნდების რიცხვი ოცამდე გაიზარდოს, რაც ჩემპიონატსაც გადაარჩენს და ინგლისელებსაცო. ამის მთქმელი ხალხის იმედები მაინის ფრანკფურტში გამართულ წვიმისყრასთან ერთად დაიმსხვრა.

პოლონური ფეხბურთი შემთხვევით როდი აღმოჩნდა მსოფლიო ფეხბურთის ავანგარდში. ვისაც მტკიცედ სჯეროდა, რომ პროფესიონალებს მოყვარულებზე უკეთ შეუძლიათ ფეხბურთის თამაში, გულგრილად იჩეჩდა მხრებს, როცა პოლონელების მიერ ოქროს ოლიმპიური მედლის მოპოვების ამბავს გაახსენებდნენ. ამ დროს კი უმჯობესი იქნებოდა დაწყებულიყო საუბარი იმის შესახებ, რომ ოლიმპიურ ჩემპიონებს შეუძლიათ თამაში ნებისმიერ მინდორზე, რომ მათ ბრძოლაც იციან და გამარჯვებაც. იმის ნაცვლად, რომ ახალგაზრდა პოლონელი ფეხბურთელებისადმი ობიექტურობა გამოეჩინათ, მათ ნაკრების მომავალ მწარე ხვედრზე დაიწყეს წუწუნი.

იმ პერიოდში, შეკითხვაზე, თუ ვინ დაიკავებს ფინალში საპრიზო ადგილს, მხოლოდ ერთმა ადამიანმა, ჰოლანდიელმა იოჰან კრუიფმა უპასუხა მოკლედ და უყოყმანოდ: „პოლონეთი!".

რატომ? რაიმე „ორიგინალობა" ხომ არ ალაპარაკებდა ან პოლონეთისადმი განსაკუთრებული სიმპათიებით ხომ არ იყო გამსჭვალული? ამის შესახებ კრუიფისთვის არავის არაფერი უკითხავს.

ამიტომ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კრუიფი, უბრალოდ, ყურადღებით აკვირდებოდა ვლოძიმეჟ ლიუბანსკის 1971 წელს, როცა ლევ იაშინთან გამოსათხოვარ მატჩში ორივემ ითამაშა ლუჟნიკში მსოფლიოს ვარსკვლავთა გუნდში, რომ მას ახსოვდა რობერტ გადოხას გამოსვლა „ლევგის" კლუბში და შენიშნა, რომ პოლონელები ჰოლანდიელების მსგავსად თამაშობენ — სწრაფად, მკაცრად, დიდი ფანტაზიითა და მოქმედების რკინისებური ორგანიზაციით.

მსოფლიოში ფეხბურთს სხვადასხვანაირად თამაშობენ. ბრაზილიელები ისეთი სანახაობის დიდოსტატები არიან, რომელიც ბურთის დაუსრულებელი მოწოდებებისგან შედგება, როცა გამასხარავებული მეტოქეები უშედეგოდ დასდევენ ბურთის ჯადოქრებს.

ინგლისელები ფიზიკურად უფრო სუსტად მომზადებულ მოწინააღმდეგეებს ანადგურებდნენ გრძელი, სწორხაზოვანი გადაცემებით, სისწრაფითა და დისციპლინით, რომელიც მათ უკარნახებდათ ბურთი უფრო მოხერხებულ პოზიციაში მყოფი პარტნიორისთვის გადაეცათ.

იტალიელებმა საკუთარი საჯარიმო მოედნის მკაცრი დაცვის თავისებურება შეიტანეს ფეხბურთში.

თავიანთი დიდების პერიოდში ერთგვარი ინდივიდუალობის ჩინებული მაგალითები გვიჩვენეს უნგრელებმა, ავსტრიელებმა, ესპანელებმა, ფრანგებმა, შვედებმა.

1974 წლის ივნის-ივლისში გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ბევრს ლაპარაკობდნენ ფეხბურთის პოლონურ სკოლაზე. ზუსტად არ არის ცნობილი, თუ ვინ თქვა პირველად ეს სიტყვები: პოლონური სკოლა. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ არ გვითქვამს.

რას წარმოადგენს ეს პოლონური სკოლა, რა თავისებურებები გააჩნია?

ამ შეკითხვაზე თვით პოლონეთის ნაკრების მწვრთნელს კაზიმეჟ გურსკის არ გაუცია ზუსტი პასუხი. მით უმეტეს ძნელია რაიმე თქვას ჟურნალისტმა, რომელსაც საკმაოდ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს წიგნებსა და ბროშურებში ჩაწერილ საფეხბურთო სკოლებზე, სისტემებზე, სტილზე...

შტუტგარტის სტადიონზე არგენტინის ნაკრებთან შეხვედრის პირველ ათ წუთში პოლონეთის გუნდი ორი ბურთით დაწინაურდა და მეტოქე გაოგნებული დატოვა. პოლონეთის ფეხბურთზე სწორი აზრის ჩამოყალიბებას სწორედ არგენტინის ნაკრებთან მოგებულმა მატჩმა შეუწყო ხელი და შემდეგ მსოფლიო ჩემპიონატის მანძილზე ვერავინ გაბედავდა თქმას, რომ პოლონელები უფერულად თამაშობენ, ემოციებსა და ესთეტურ განცდებს არ იწვევენ მაყურებლებშიო. ეს მაშინ, როცა ცხრა თვის წინათ ინგლისელები კარგები იყვნენ, პოლონელები კი — უცოდინარები. ყოველივე ამას ირონიით როდი ვამბობ და არც პატრიოტული სენტიმენტალიზმი მამოძრავებს. მე ცოტათი ვიცნობ ინგლისელებს და მათგან პატივისცემისა და ქების ნამდვილი სიტყვები გამიგონია, იმ ინგლისელთაგან, რომელთაც ესმით სპორტი, და არა იმათგან, ვინც სპორტის მეშვეობით მდიდრდება.

პირველ მატჩში შეიძლება შეტევაც ყოფილიყო და მათემატიკაც. მსაჯის სასტვენისა და ბურთის პირველი დარტყმის წინ გუნდის მწვრთნელმა, ინჟინერმა იაცეკ შმიხმა თქვა: „ჩვენ მოვუგებთ არგენტინას, ეს გამოთვლილი და დაპროგრამებულია".

შეიძლება განა ფეხბურთის მატჩში გამარჯვების წინასწარმეტყველება, მაშინ, როცა, როგორც იტყვიან, ბურთი მრგვალია და ერთნაირად კარგად შეიძლება შევარდეს როგორც მეტოქის, ისე საკუთარ კარში?

კი მაგრამ, მაშინ საიდან მიდის ეს გამოთვლები და დაპროგრამება? იქნებ ეს, უბრალოდ, თვითდაჯერებული კაცის სიტყვები იყო ან შემთხვევითი დარტყმა, რომელიც მოულოდნელად მოხვდა მიზანში?

უეცარი შეტევით მხოლოდ მოწინააღმდეგის რაზმის განადგურება შეიძლება. ბრძოლა კი შეჯახებებისგან, შეტევებისგან და საბრძოლო პოზიციების დაკავებისგან შედგება. ბრძოლამ ზოგჯერ შეიძლება მეტად დიდხანს გასტანოს. არგენტინის გუნდთან შეხვედრაში სწორედ უეცარი შეტევები იყო, მაგრამ იმისთვის, რომ პოლონეთის ნაკრებს ჰაიტის, იტალიის, შვეციის, იუგოსლავიისა და ბრაზილიის გუნდები დაემარცხებინა, საჭირო იყო ბრძოლა, ცოდნა, გამოთვლა და პროგრამირება.

ხანგრძლივ ვარჯიშებზე ანგარიშობდნენ, თუ საით უნდა გაფრენილიყო კაზიმეჟ დეინას მიერ დარტყმული ბურთი, რა ადგილზე უნდა დახვედროდა მას ლატო, რომელიც ამ დროს მთელი სისწრაფით მირბოდა. მოხერხებულად იყო დაპროგრამებული, თუ როგორ უნდა განვითარებულიყო შეტევა იუგოსლავიის ფეხბურთელებთან და როგორ — ბრაზილიელებთან, როგორ უნდა შეეტყუებინათ მეტოქეები თავიანთ ნახევარზე, რათა შემდეგ უფრო იოლად შეჭრილიყვნენ მოწინააღმდეგის დაცვითს რიგებში.

დღევანდელ ფეხბურთში სასწაულები არ ხდება. სამაგიეროდ, ეს თამაში ფართო ასპარეზს უქმნის ფანტაზიას, აზროვნებას, თეორიულ და ტაქტიკურ კომბინაციებს. ძნელი არ არის იმის გათვალისწინება, რა მოხდება მაშინ, როცა:

— ფეხბურთელი კარგადაა მომზადებული ინდივიდუალურად,

— როცა იგი მეორე ფეხბურთელზე უფრო სწრაფად დარბის,

— მთელი 90 წუთის მანძილზე სრული დატვირთვით შეუძლია თამაში,

— თავის თავს ანგარიშს აძლევს იმაში, რომ ფეხბურთი კოლექტიური თამაშია.

ასეთ შემთხვევაში შეიძლება ლაპარაკი იმის ალბათობაზე, წაართმევს თუ არა ფეხბურთელი მოწინააღმდეგეს ბურთს, გაექცევა თუ არა მეტოქეს, გადასცემს თუ არა ზუსტად ბურთს პარტნიორს, რომელიც ხელსაყრელ პოზიციაშია.

უდავოდ ყველამ იცის ეს მარტივი ჭეშმარიტებები და შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ სხვა გუნდების სპორტსმენებმა და მწვრთნელებმა არ იციან ის, რასაც ფეხბურთის ანბანს უწოდებენ. თანამედროვე, აზრიანი თამაშით მოგვაწონეს თავი შვეციის, ჰოლანდიის, გფრ-ის, იუგოსლავიის გუნდებმა. ასეთ შემთხვევაში რატომ არაფერს წერდნენ თამაშის ჰოლანდიურ, დასავლეთგერმანულ, შვედურ სკოლებზე?

ვფიქრობ იმიტომ, რომ X მსოფლიო ჩემპიონატში არავინ ისე ზუსტად არ ახორციელებდა დაპროგრამებულ შეტევებს ფლანგებზე, არავინ ისე სწრაფად და ზუსტად არ ცვლიდა შეტევის დაგეგმილ მიმართულებებს, არავინ ისე სწრაფად არ ღებულობდა წინასწარ შემუშავებულ გადაწყვეტილებებს, როგორც პოლონეთის ფეხბურთელები.

ფლანგებით თამაში, გაძლიერებული დაცვა, სწრაფი შეტევა, ტოტალური თამაში, აგრესიული მეურვეობა, ცენტრში ბურთის სწრაფი ჩაწოდება — ყველაფერი ეს საკმაოდ იოლად გასაგები ცნებებია,

ფლანგებზე თამაში [illegible] სხვა [illegible] რია, თუ არა [illegible] მოთამაშე სპორტსმენთა [illegible] თვისებების გამოყენება, როცა [illegible] მეტოქის მცველებს საჯარიმო მოედნიდან იტყუებენ. გაძლიერებული დაცვა — ეს არის ნახევარდაცვაში მოთამაშე ფეხბურთელების დახმარება დაცვისთვის, რომელსაც აუცილებლობის შემთხვევაში თავდამსხმელებიც ეხმარებიან.

სწრაფი შეტევა დაცვაში შექმნილი ხვრელების უმალვე გამოყენებას ნიშნავს. ასეთ შემთხვევაში სპორტსმენებს ბურთის მინდვრის გასწვრივ გადაწოდების უფლება არა აქვთ, ბურთი უნდა მიიღოს იმ სპორტსმენმა, რომელიც დარტყმისთვის ყველაზე ხელსაყრელ პოზიციაშია.

ტოტალური ფეხბურთი — ეს არის თამაში, სადაც არ შეიძლება გაჩერება დასასვენებლად, სადაც ყველა ფეხბურთელი მოძრაობს, მოქმედებს და ცდილობს ფიზიკურად დაქანცოს მეტოქე.

აგრესიული მეურვეობა გულისხმობს იმას, რომ მოწინააღმდეგეს მინდორზე თავისუფალი გადაადგილების საშუალება არ ჰქონდეს. მეტოქეს მაქსიმალური დაბრკოლებები უნდა შეხვდეს ბურთის გადაცემისას.

სწრაფი ჩაწოდება ნიშნავს ბურთის იმ ადგილზე ჩაგდებას, საიდანაც გადამწყვეტი დარტყმა უნდა განხორციელდეს.

მწვრთნელებს, სპეციალისტებს, ფეხბურთის თეორეტიკოსებს შეუძლიათ კიდევ, სულ ცოტა, ათი მნიშვნელოვანი ცნების ჩამოთვლა და განმარტება. მხოლოდ ერთში არ შეეკამათებიან: თანამედროვე სწრაფი და შეუჩერებელი მოძრაობის პირობებში ფეხბურთელი ზღაპრულად გამძლე უნდა იყოს. იგი უნდა იყოს ძალოსანივით ძლიერი, ჰქონდეს მძლეოსნის სისწრაფე და ნახტომი, პირველ ყოვლისა, იყოს ინტელიგენტური, სწრაფად აფასებდეს მინდორზე შექმნილ ვითარებას, მხედველობის არეში ჰყავდეს გარემარბი, რომელსაც აგრესიულად არ მეურვეობენ, ამჩნევდეს ცენტრში ბურთის გადაცემისთვის შექმნილ ხელსაყრელ სიტუაციას, ხედავდეს, დაქანცა თუ არა ტოტალურმა თამაშმა მეტოქის გუნდი.

ჰქონდა თუ არა პოლონეთის ნაკრებს ყველა ეს ერთნაირად მნიშვნელოვანი თვისება X მსოფლიო ჩემპიონატში?

მწვრთნელები, რასაკვირველია, მოძებნიან ხარვეზებს. ჩვენ ვხედავდით, რომ სპორტსმენებს ზოგჯერ ძალები არ ჰყოფნიდათ, მაგალითად, იუგოსლავიისა და შვეციის ფეხბურთელებთან შეხვედრებში, ჩვენ ვამჩნევდით არაზუსტ აგრესიულ მეურვეობას, ცენტრში ბურთის დაგვიანებულ გადაცემებს, ხვრელებს დაცვაში. არა! ჩვენი გუნდი იდეალური არ იყო, იგი უნაკლოდ არ თამაშობდა და შეცდომებსაც უშვებდა. თუმცა მსოფლიო ჩემპიონატში ვერ ნახავდით ეროვნულ ნაკრებს, რომლის მიმართაც კრიტიკული შენიშვნები არ გამოეთქვათ.

სრულყოფილი გუნდი რომ გვყოლოდა, ნათელია, მსოფლიო ჩემპიონები გავხდებოდით. ამ ტიტულამდე ბევრი როდი გვაკლდა. მაგრამ მაინც, ჩვენ შევძელით ფიზიკური მომზადებისა და თამაშის ხარვეზები შეგვევსო დიდი შემართებით, ამბიციით, რაც, თუმცა არასოდეს აკლდათ პოლონეთის ფეხბურთელებს, მაგრამ ყველაზე მკვეთრად გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სტადიონებზე გამოვლინდა.

პოლონეთის გუნდის სიძლიერე შეიძლება ბევრ რამეში ვეძიოთ, მაგრამ ყველაზე მთავარი იქ გახლდათ აჩის დამტკიცების სურვილი, რომ ინგლისელებთან წარმატება შემთხვევითი არ იყო, რომ არგენტინის, ჰაიტის, იტალიის, შვეციისა და იუგოსლავიის კოლექტივებთან გამართული შეხვედრების მოგება ბურთის ოსტატური დამორჩილების, გამარჯვებისკენ სწრაფვის შედეგი იყო. ჩვენი ახალგაზრდა სპორტსმენების ოსტატობისადმი უნდობლობისა და მტრული დამოკიდებულების კედელი დაინგრა. ნიშნავს თუ არა ეს, რომ შემდეგში პატივმოყვარე მიზნებისკენ მიმავალ გზებზე ჩვენ არავითარი დაბრკოლებები აღარ შეგვხვდება? არავითარ შემთხვევაში. სპორტში აღიარებული პირები იოლად როდი ინარჩუნებენ მონოპოლიებს.

რეკორდები შრომის მოწმობებს წარმოადგენენ, გამარჯვება კი თანაბარი ძალის მოწინააღმდეგის დამარცხების დასტურია. ერთიცა და მეორეც შეუძლებელია საზოგადოებრივი მხარდაჭერის, ხალხის კარგად ორგანიზებული ფიზიკური კულტურის, მრავალი წლის მანძილზე შექმნილი მატერიალური ბაზის გარეშე.

* * *



სურათზე: პოლონეთის ნაკრების კაპიტნის გ. დეინას (№ 12) ალტაცებას მთელი გუნდი იზიარებს — გოლის გატანა მსოფლიო ჩემპიონატის მატჩში ათმაგად სასიხარულოა.

ე. ვარმინსკის ფოტო.

დაწერილია „ლელოსთვის".




# ისევ ლიდერთა დუელი

თბილისის სპარტაკიადის პროგრამით მესტენდურეთა ასპარეზობა „საგანგებო" ვითარებაში ჩატარდა: შეჯიბრება ერთი კვირით ადრე გადმოიტანეს და გუნდებს გოხს მოსვლის საშუალებაც აღარ რჩებოდათ. ალბათ ამიტომაც იყო, რომ სარბიელზე მხოლოდ „ლოკომოტივის", „განთიადისა" და არმიელ მონადირეთა საზოგადოების სპორტსმენები (მოკავშირის მესტენდურეები შეჯიბრებაში უკონკურსოდ მონაწილეობდნენ) გამოვიდნენ, თორემ „სპარტაკისთვის" და „ბურევესტნიკისთვის", რომლებიც ერთი კვირის წინათ საქართველოს პროფკავშირთა სპარტაკიადაში ცდილნენ ძალას, სხვას რას უნდა შეეშალა ხელი?

როგორც ადგილიდან, ისე მრგვალ სტენდზე სროლაში პირადი პირველობისთვის თავიდანვე საინტერესო ბრძოლა გაჩაღდა. მრგვალ სტენდზე შეჯიბრებაში საქართველოს ნაკრების წევრებმა — სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ტ. ქლენტმა („ლოკომოტივი"), საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა თ. მატოიანმა („განთიადი") და სპორტის ოსტატმა თ. იმნაიშვილმა („ლოკომოტივი") 100-100 გასროლიდან მხოლოდ ორ-ორ სამიზნეს ააცდინეს. მატოიანმა და ქლენტმა მეორე ას გასროლაზე იგივე ეს შედეგები გაიმეორეს, იმნაიშვილს კი ბოლო ორ სერიაში ხელი მოეცარა — 200-დან საბოლოოდ 191 ქულა მოაგროვა და III ადგილს დასჯერდა.

ჩემპიონობის ბედის გადასაწყვეტად ქლენტსა და მატოიანს შორის დამატებითი სერია დაინიშნა. აქ მატოიანმა იმარჯვა. ქლენტი II ადგილს დასჯერდა.

ვარჯიშში გუნდური პირველობა „ლოკომოტივს" დარჩა — 9 ქულა. „განთიადი" II ადგილზე გავიდა — 8 (მატოიანმა გუნდს 7 ქულა მოუტანა, მერვე ქულა ნ. ჯანაშიას ეკუთვნის).

ადგილიდან სროლაში დიდხანს არმიელთა გუნდის წევრი თ. იმნაიშვილი ლიდერობდა, მაგრამ ბოლო 50 გასროლაზე მას საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ზ. მაჩხანელმა („ლოკომოტივი") გაასწრო. საბოლოოდ მაჩხანელმა 200-დან 185 სამიზნე გატეხა. იმნაიშვილმა, ვ. ალავერდოვმა („ლოკომოტივი") და ვ. ამირხანოვმა (ასკ) 183-183 ქულით მომდევნო ადგილები დაიკავეს.

მინდა აღვნიშნო ზურაბ მაჩხანელის ვაჟის, 14 წლის გიორგის წარმატება. მისი სახით მამის კარგი ტრადიციების გამგრძელებელი გვეზრდება. ამ ჭაბუკმა უფროსთა I თანრიგის ნორმატივი შეასრულა.

გუნდური ტურნირი აქაც „ლოკომოტივმა" მოიგო — 11 ქულამდენივე ქულით II ადგილზეა არმიის სპორტსმენთა ნაკრები. გუნდის წარმატებაში სათანადო წვლილი მიუძღვის სპორტის ოსტატ ემილია მელიქიშვილს, რომელმაც ადგილიდან სროლაში ვაჟებს ტოლი არ დაუდო, VI ადგილი დაიკავა და თავის კოლექტივს ჩათვლა მისცა. „განთიადს" არავინ გამოუყვანია.

საერთო გუნდურ ჩათვლაში ყველას რკინიგზელმა მესტენდურეებმა აჯობეს — 20 ქულა. II ადგილი დაიკავეს არმიელებმა — 16. III ადგილზეა „განთიადი" — 8.

ვფიქრობთ, „განთიადის" ხელმძღვანელობას ეს შეჯიბრება ერთხელ კიდევ მოაგონებს, რომ სხვებისგან ცალმხრივ განვითარებას კოლექტივი საბოლოოდ დამარცხებისკენ მიჰყავს.

ლ. ციციშვილი,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

## სამოცდაოთხუთმეტის მაგიერ 26

თბილისის ზღვაზე დამთავრდა შეჯიბრება კანოეებითა და ბაიდარებით ნიჩბოსნობაში. ასპარეზობაში მხოლოდ „ბურევესტნიკის", „ლოკომოტივის", „განთიადის", „სპარტაკისა" და ასკ-ს სპორტსმენები მონაწილეობდნენ. თუ განაცხადებს დავუჯერებთ, სარბიელზე 75 ნიჩბოსანი უნდა გამოსულიყო, მაგრამ სინამდვილეში სტარტზე მხოლოდ 26 მონაწილე ვიხილეთ.

ასპარეზობა მარტო 500-მეტრიან დისტანციაზე ჩატარდა. ქალთა შეჯიბრებაში 3-3 ნავი ჩაება. სამწუხაროდ ვერც ვაჟთა ტურნირი დაიქადნის, რაც იმითაა გამოწვეული, რომ სპარტაკიადაში საქართველოს ნაკრების წევრები არ მონაწილეობდნენ.

საერთო გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა „ბურევესტნიკმა" — 29 ქულა. II ადგილზეა „ლოკომოტივი" — 18, III — „განთიადი" — 11.

### ტექნიკური შედეგები

**ქალები.** ბაიდარა. ერთადგილიანი. ნ. ცხვედაძე („ბურევესტნიკი") — 2.22,5, ზ. ფილიევა („სპარტაკი") — 2.27,0, ლ. ვლასოვა („ლოკომოტივი") — 2.32,5; ორადგილიანი. ლ. მაიდანეცი — ნ. ყვინჩილაშვილი („განთიადი") — 2.04,5, მ. ბუჯიაშვილი — ს. გოცირიძე („ბურევესტნიკი") — 2.04,7, ე. მატაშენკო — ი. მატაშენკო („ლოკომოტივი") — 2.17,5.

**ვაჟები.** ბაიდარა. ერთადგილიანი. ნ. ცხოვრებოვი („ლოკომოტივი") — 1.55,0, გ. ლუკინი („ბურევესტნიკი") — 2 წუთი, ნ. ხარაიშვილი („განთიადი") — 2.07,0; ორადგილიანი. შ. ციხელაშვილი — მ. ასატურიანი („ლოკომოტივი") — 1.52,0, ზ. ჯალალი — ზ. ტუაევი („სპარტაკი") — 1.52,7. კანოე. ერთადგილიანი. ვ. ჩაპლიგინი (ასკ) — 2.14,5, რ. ეზიაშვილი („ბურევესტნიკი") — 2.18,5, მ. ბარამია (ასკ) — 2.26,5; ორადგილიანი. ვ. ფიოდოროვი — მ. ჩიზმავა („ბურევესტნიკი") — 2.04,7, ვ. თომაშვილი — ი. კაშურნიკოვი („ლოკომოტივი") — 2.12,7, დ. ნადიძე — გ. ზუბაშვილი („სპარტაკი") — 2.24,7.

ლ. ხეცურიანი.

## ალექსანდრე ქირია



60 წლის ასაკში გარდაიცვალა ზუგდიდის ბავშვთა სპორტული სკოლის დირექტორი, სკკპ წევრი 1956 წლიდან, სპორტის ოსტატი სასტენდო სროლაში, განათლების მუშაკთა პროფკავშირის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე ალექსანდრე სოლომონის ძე ქირია.

გულისხმიერი პედაგოგი, ხენჯითი სპორტსმენი ა. ქირია 1947-1951 წლებში ფიზიკურ კულტურას ასწავლიდა ზუგდიდის რაიონის ჭითაწყარისა და ზუგდიდის მე-6 საშუალო სკოლებში, ამავე დროს მუშაობდა ბავშვთა სპორტული სკოლის დირექტორის მოადგილედ სასწავლო დარგში.

1969 წლიდან გარდაცვალებამდე ა. ქირია ბავშვთა სპორტული სკოლის დირექტორი იყო. ამავე დროს არჩეული გახლდათ განათლების მუშაკთა პროფკავშირის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარედ.

ა. ქირია, როგორც სპორტის ოსტატი, ხშირად მონაწილეობდა საქალაქო, რაიონულ და რესპუბლიკურ შეჯიბრებებში, მუდამ აქტიურად, დიდი პასუხისმგებლობით ასრულებდა საზოგადოებრივ დავალებებს. იგი წლების მანძილზე მუშაობდა პარტიული ორგანიზაციის ბიუროს მდივნად ზუგდიდის მე-6 საშუალო სკოლაში, ფიზკულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტში.

ალექსანდრე ქირიას ცხოვრება მოულოდნელად შეწყდა. წავიდა ჩვენგან კარგი ადამიანი, გულისხმიერი მწვრთნელი, სპორტსმენთა ნამდვილი მეგობარი.

ზუგდიდის რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტი;
ზუგდიდის ბავშვთა სპორტული სკოლა.

# 15 ათასი კილომეტრი გამარჯვებამდე

25 ოქტომბერს „ავტოექსპორტის" საკონფერენციო დარბაზში უამრავი თაიგული, კრიჭი და მედალი იყო გამოფენილი, ყოველივე ეს საბჭოთა სპორტსმენების ევროპის ავტორალი „ევროპის ტურ-74"-ში მოპოვებული ჯილდოები გახლდათ. გამარჯვებულმა მრბოლელებმა ათეთი უხვი საჩუქარი საბჭოთა საავტომობილო მშენებლობის 50-ე წლისთავს უძღვნეს.

ევროპის რალი მეთორმეტედ ჩატარდა. წინა 17 შეჯიბრებაში აბსოლუტურ პირველობას მხოლოდ დასავლეთ გერმანიის ავტომობილისტები აღწევდნენ. ამჯერად ტრადიცია დაირღვა. 13 ქვეყნის გზებზე, რომელთა საერთო სიგრძემ თითქმის 15 ათასი კილომეტრი შეადგინა, ვილნიუსელი სტასის ბრუნძა და რიგელი ალექსანდრე კარამიშევი ბოლო „სადგურ ხე" — გფრ-ის ქალაქ ტრავემიუნდეში ქულათა ყველაზე ნაკლები საჯარიმო ჯამით (37,2) მიიყვანა მანქანამ „მოსკვიჩ-412".

— უკვე სამი წელია, რაც შეჯიბრებებში აღარ გამოვდივარ, — თქვა კარამიშევმა. — ახლა მწვრთნელი გარ. 46 წლისა გახლავართ. 1950 წელს პირველი ჯილდო მივიღე, როცა „მოსკვიჩ-400"-ით ვიასპარეზე კროსის დისტანციაზე. საერთოდ კი საავტომობილო სპორტთან აგერ უკვე მეოთხედი საუკუნეა ვმეგობრობ. წლევანდელ ტურში სტარტამდე ერთი თვით ადრე გადავწყვიტე მონაწილეობა.

27 წლის ბრუნძას მიაჩნია, რომ ჩინებული მეწყვილე ჰყავდა. კარამიშევი მუდამ მშვიდია, საკუთარი თავისაც სჯერა და მანქანისაც.

— მე სარბოლი მანქანებითაც მიასპარეზია, — ამბობს ბრუნძა, — მაგრამ ჩემი გამოცდილება (იგი 1963 წლიდან მისდევს ავტოსპორტს) მეუბნება, რომ ავტორალიში მონაწილეობა უფრო სარისკოა...

დიახ, რალისტებს იოლი ცხოვრება როდი აქვთ. ეს „ევროპის ტურმაც" დაადასტურა. ავტომობილებმა განვლეს თურქეთის სამთო გზები, რომლებიც ზღვის დონიდან 2000 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს, გადალახეს კოკისპირული წვიმებით დატბორილი გზები იუგოსლავიაში, უკან მოიტოვეს სირიის, იორდანიის, ლიბანის მცხუნვარე უდაბნოები, სადაც ზოგჯერ ჰაერის ტემპერატურა პლუს 50 გრადუსს აღწევდა, გადაიარეს დათოვლილი ალპები ავსტრიაში...

საკმარისია ითქვას, რომ 51 ეკიპაჟიდან, რომლებმაც 3 ოქტომბერს ერბაჰში (გფრ) აიღეს სტარტი, ორი კვირის შემდეგ ფინიშთან მხოლოდ 26 მანქანა მივიდა, მათ შორის 8 საბჭოთა „მოსკვიჩი" და „ლადა" (ვაზ-2101). ეს მაშინ, როცა საბჭოთა მანქანებს მეტოქეობას უწევდნენ ისეთი ცნობილი მარკის ავტომობილები, როგორიცაა ალფა რომეო, ბმვ, მერსედესი, რენო, ოპელი, ფორდი, სიმკა...

—საბჭოთა ავტომობილებმა ბრწყინვალე შთაბეჭდილება მოახდინა, — განაცხადა ა. კუზნეცოვმა, რომელიც უკვე 25 წელია ხელმძღვანელობს ძრავების ლაბორატორიის ჯგუფის მუშაობას. ყველა საერთაშორისო რალისთვის ის ამზადებდა „მოსკვიჩს". ჯერ კიდევ 1958 წელს, საბჭოთა სპორტსმენების პირველი საერთაშორისო სტარტის დროს (ეს იყო ფინეთში, „1000 ტბის" შეჯიბრებაში), იგი გუნდში გამოდიოდა... მექანიკოსად.

ლენინური კომკავშირის სახელობის მოსკოვის ქარხნისა და ვოლჟსკის ავტოქარხნის მანქანებმა ამჯერადაც საუცხოო თვისებები, განსაკუთრებული საიმედოობა და გამძლეობა გამოავლინეს. ისინი არც სისწრაფეში ჩამოუვარდებოდნენ უცხოურ ეკიპაჟებს. სისწრაფე კი ძალიან მაღალი იყო: ზოგიერთ მონაკვეთზე იგი საათში საშუალოდ 140 კილომეტრს აღწევდა.

აბსოლუტურ პირად ჩათვლაში გამარჯვების გარდა, საბჭოთა მრბოლელებმა მოიპოვეს ორივე მთავარი გუნდური პრიზი (ოქროსი და ვერცხლისა). „ავტოექსპორტის" გუნდებმა პირველი ორი ადგილი დაიკავეს ეგრეთ წოდებულ „ეროვნულ" ჩათვლაშიც. „საქარხნო" ჩათვლაში I ადგილზეა „მოსკვიჩების" გუნდი, ხოლო II — ვოლჟსკის ქარხნის ავტომობილები.

აბსოლუტურ პირად ჩათვლაში მეორე საბჭოთა ეკიპაჟმაც (ვიტოლდ სპრუკტი და ანდრას კალნაისი, „მოსკვიჩ-412") დიდ წარმატებას მიაღწია — 38,4 ქულით II ადგილი დაიკავა. საუკეთესოთა ექვსეულში კიდევ ბევრი სხვა საბჭოთა ავტომობილისტი მოხვდა (მათ IV-VI ადგილები მოიპოვეს): ლეონტი პოტაპჩიკი და ლევ შუვალოვი, ნიკოლოზ კირპიჩნიკოვი და იაკობ აგიშევი, ვლადიმერ ბუბნოვი და ანატოლი პჩონკინი.

„ევროპის ტურის" წინა შეჯიბრებებში გამარჯვებულმა დასავლეთგერმანელმა ავტომობილისტებმა კი მხოლოდ ერთი საპრიზო ადგილი დაიკავეს — III.

ვ. პიმენოვი.
(საქდესის კორ.).

## 30 ოქტომბრის მატჩისთვის

### ფეხბურთი

სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა კ. ბესკოვმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩისთვის (30 ოქტომბერი, დუბლინი) ირლანდიის ეროვნულ გუნდთან 9 კლუბის 19 მოთამაშე შეარჩია. ესენი არიან: მეკარეები ვ. პილგუი, ლ. კოლტუნი; მცველები რ. ძოძუაშვილი, ვ. ტროშკინი, ს ოლშანსკი, ე. ლოვჩევი, ვ. კაპლიჩნი, ვ. მატვიენკო, ვ. ლემეშკო, ს. ნიკულინი; ნახევარმცველები ა. ანდრეასიანი, ვ. ფედოტოვი, ვ. კოლოტოვი, ვ. ვერემეევი, ი. ვასენინი, მ. ანი; თავდამსხმელები ო. ბლოხინი, ვ. ონიშჩენკო, ვ. ფიოდოროვი.

## სსრ კავშირის პირველობა

### I ლიგა

მოსკოვის „ლოკომოტივის" ფეხბურთელებმა 25 ოქტომბერს თავიანთ მინდორზე მიიღეს იაროსლავლის „შინიკი" (ეს მატჩი 1 ნოემბერს უნდა შემდგარიყო) და დაამარცხეს იგი ანგარიშით 5:2.

პირველ ტაიმში არავის ეგონა, რომ მატჩი დიდი ანგარიშით დამთავრდებოდა: გუნდები შესვენებაზე წავიდნენ, როცა ტაბლოზე აღნიშნული იყო 1:0 მოსკოველთა სასარგებლოდ.

მოსკოველთაგან გოლები გაიტანეს ჰისკუნოვმა, სიომინმა, რიჟოვმა და ჩესნოკოვმა (2), სტუმართაგან — ზიუზინმა და გავრილოვმა.

რკინიგზელებს — გათამაშების ლიდერებს, 51 ქულა აქვთ. მათ მხოლოდ ერთი მატჩი დარჩათ ჩასატარებელი: 28 ოქტომბერს ივანოვოში „ტექსტილშჩიკთან".

## 0:0

23 ოქტომბერს შოტლანდიის ქალაქ დანდიში ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების პირველ მერვედფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „დანდი იუნაიტედი" და თურქეთის „ბურსასპორი". მატჩი ფრედ დამთავრდა — 0:0.

## აქაც დოპინგი...

დოპინგი ფეხბურთში... ბრაზილიელი ჟურნალისტები, მსაჯები, ფეხბურთის მცოდნენი ბოლო ხანს სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ ამ ამბავს, რომელიც მთელი სპორტული საზოგადოებრიობის შეშფოთებას იწვევს.

თამაშის წინ ნარკოტიკულ ნივთიერებათა მიღების შემთხვევები სულ უფრო ხშირდება. ეს ხდება მას შემდეგ, რაც ბრაზილიაში ყველაზე პოპულარულმა თამაშმა ბიზნესად გადაქცევა დაიწყო, წერს გაზეთი „გლობო". ამას გარდა, დოპინგის გავრცელებას ხელი შეუწყო ფეხბურთის გადაქცევამ პროფესიულ სპორტად. დოპინგის დახმარებით ფეხბურთელები უფრო მეტად „ბრწყინავენ" მინდორზე მატჩის პირველიდან ბოლო წუთამდე (განა ამისთვის არ უხდიან მათ ფულს „ტორსიდორესები" — გულშემატკივრები?).

მაგრამ იგივე დოპინგი თანდათან ამახინჯებს მოთამაშეებს და თავის მონებად აქცევს მათ: ფეხბურთელი, რომელიც ერთხელ მიიღებს დოპინგს, შემდეგ ძნელად გაუძლებს ცდუნებას, რომ იმავე გზას მეორედ აღარ მიმართოს. როგორც „გლობო" აღნიშნავს, სწორედ დოპინგია იმის მიზეზი, რომ ზოგიერთი ნიჭიერი ფეხბურთელის კარიერა ძალიან ადრე წყდება.

ვ. მოლდავანოვი.
(საქდესის კორ.).
ქ. ბრაზილია.

## ბერნარდინის 5 დებიუტანტი

იტალიის ნაკრების ახალი მწვრთნელი ფ. ბერნარდინი შეუდგა გუნდის რეორგანიზაციას. მწვრთნელის უახლოესი მიზანია ევროპის ჩემპიონატში წარმატებით გამოსვლა. განახლებული გუნდი, მართალია, დამარცხდა ზაგრებში იუგოსლაველებთან (0:1), მაგრამ ამას „სკუადრა აძურას" ხელმძღვანელობა დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს. მთავარია დებიუტანტთა გამოცდა. ესენი არიან: მცველები როკა, ზეკინი და როჯი, ნახევარმცველი რე ჩეკონი და თავდამსხმელი კაზო. საინტერესოა აღინიშნოს, რომ მარჯვენა გარემარბი კაზო სულ 19 წლისაა და ბოლო ჩემპიონატში დიდი წარმატებით გამოდიოდა „ფიორენტინაში".

რედაქტორი მ. ქაქაბაძე.

### 30 ოქტომბერს

ჭადრაკის სასახლეში (ლენინის ქ. № 87) საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო აწყობს რესპუბლიკურ თათბირს თემაზე: „რესპუბლიკის უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების მოსწავლეთა შორის ფიზიკური აღზრდისა და სპორტული მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებები საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად".

დასაწყისი 11 ს.



გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.
რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50, რედაქტორის მოადგილე — 93-97-57, პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52, მასობრივ-ფიზკულტურული განყოფილება — 93-97-55, სპორტული განყოფილება — 99-56-47, 93-97-53, ფეხბურთის განყოფილება — 99-81-71, 93-97-56, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობისა და ჭადრაკის განყოფილებები — 93-97-51, წერილების განყოფილება — 93-97-54, მემანქანეთა ბიურო — 93-97-59, ფოტოლაბორატორია — 93-97-58, გამოშვება — 93-93-81, კორექტორები — 93-97-49.